

ტესტი გეოგრაფიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება # 1-33.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. ჩამოთვლილთაგან რა მასშტაბის რუკაზეა გამოსახული ტერიტორია უფრო დეტალურად?

ა. 1: 25 000

ბ. 1: 50 000

გ. 1: 100 000

დ. 1: 200 000

2. რომელი არქიპელაგი მდებარეობს არქტიკაში?

ა. შპიცბერგენის

ბ. დიდი ზონდის

გ. მცირე ანტილიის

დ. ფილიპინის

3. რას აითვლიან საწყისი მერიდიანიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით 0° -დან 180° -მდე?

ა. გეოგრაფიულ განედს

ბ. გეოგრაფიულ გრძედს

გ. აზიმუტის კუთხეს

დ. კარტოგრაფიულ პროექციას

4. რომელი ზღვის მონაცემებია მოცემული ცხრილში?

ზედაპირის ფართობი	420 325 კვ.კმ
მაქსიმალური სიღრმე	2211 მ
მაქსიმალური სიგრძე (პარალელზე)	1150 კმ
მაქსიმალური სიგანე (მერიდიანზე)	580 კმ
ზედაპირული ფენის მარილიანობა	17-18 ‰


ა. შავი ზღვის

ბ. ხმელთაშუა ზღვის

გ. კასპიის ზღვის

დ. წითელი ზღვის

5. გაანალიზეთ გრაფიკი და განსაზღვრეთ, რომელი გეოგრაფიული კოორდინატები შეესაბამება N პუნქტს?



- ა. ჩ.გ. 25° 09' დ.გ. 14° 15'
- ბ. ს.გ. 37° 49' ა.გ. 144° 58'
- გ. ჩ.გ. 68° 25' ა.გ. 127° 04'
- დ. ს.გ. 73° 37' დ.გ. 65° 37'

6. მთის ერთ ფერდობზე ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე იქნება ატმოსფერული წნევა უფრო დაბალი?

ა. 400 მ

ბ. 600 მ

გ. 900 მ

დ. 1200 მ

7. მთის ერთ ფერდობზე განლაგებულ მეტეოსადგურებზე ერთდროულად მიმდინარეობს დაკვირვება ჰაერის ტემპერატურაზე. რომელ ჩამონათვალშია დალაგებული მეტეოსადგურები ზღ.დ. სიმაღლის ზრდის მიხედვით (დაბლიდან მაღლისკენ)?

მეტეოსადგური	ტემპერატურა °C
A	-7
B	+15
C	+3
D	+18

ა. C, A, B, D

ბ. A, C, D, B

გ. B, D, A, C

დ. D, B, C, A

8. რომელი გეოგრაფიული ობიექტი არ მოჩანს მოცემულ ილუსტრაციაზე?



ა. კ. სუმატრა

ბ. კ. სულავესი

გ. სამხრეთ ჩინეთის ზღვა

დ. ბანდის ზღვა

9. რისი შემადგენელი რგოლებია (ეტაპებია) მოცემული ჩამონათვალში: აორთქლება, კონდენსაცია, ნალექები?

ა. ატმოსფეროს ცირკულაციის

ბ. რადიაციული ბალანსის

გ. წყლის წრებრუნვის

დ. ვერტიკალური ზონალურობის

10. რომელი ქარია სეზონური რიტმულობის მაგალითი?

ა. ბრიზი

ბ. მუსონი

გ. ფიონი

დ. პასატი

11. დედამიწის რომელი გარსის ტემპერატურაა უფრო მაღალი?


ა. ქერქის

ბ. ლითოსფეროს

გ. ბირთვის





დ. მანტიის

12. დიაგრამაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი რეგიონის მოსახლეობაა უფრო მეტი?



- ა. გურიის
- ბ. სამეგრელო-ზემო სვანეთის
- გ. რაჭის
- დ. შიდა ქართლის

13. რომელია გერმანიის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა?



14. სად მდებარეობს ოკეანეთი?


ა. წყნარ ოკეანეში

ბ. ატლანტის ოკეანეში

გ. ინდოეთის ოკეანეში

დ. ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში

15. რომელი რელიგიის აღმსარებელია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის უმეტესობა?



- ა. ქრისტიანობის
- ბ. ისლამის
- გ. იუდაიზმის
- დ. ზოროასტრიზმის

16. 2016 წელს რა გახდა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის, დევიდ კემერონის გადადგომის მიზეზი?

- ა. გაერთიანებული სამეფოს ჯარების სირიის კონფლიქტში წარუმატებელი მოქმედება
- ბ. გაერთიანებული სამეფოს ჯარების ავღანეთის კონფლიქტში წარუმატებელი მოქმედება
- გ. შოტლანდიის გაერთიანებულ სამეფოში დარჩენის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმის შედეგი
- დ. გაერთიანებული სამეფოს ევროპის კავშირში დარჩენის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმის შედეგი

17. საქართველოს რომელი რეგიონი არ არის ხორბლის მწარმოებელი?

ა. ქვემო ქართლი

ბ. კახეთი

გ. გურია

დ. სამცხე-ჯავახეთი

18. ცხრილის მიხედვით, რა წილი უკავია საქართველოს იმპორტში მანქანათმშენებლობის პროდუქციას?

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2015 წლის მიხედვით (წილი %-ში)	
სამკურნალო საშუალებები	9.5
ნავთობპროდუქტები	8.9
მსუბუქი ავტომობილები	6.2
ნავთობის აირები	5.1
სპილენძის მადანი	2.7
სატელეფონო აპარატები	1.9
ხორბალი	1.5
სიგარეტები	1.2
მიწები	1.2
არმატურა	0.8

ა. 1.9

ბ. 6.2

გ. 8.1

დ. 9.9

19. რაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე?

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	75 წელი
ინფლაციის მაჩვენებელი	2.5%
მოსახლეობის განათლების დონე	90%
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	35 000 აშშ დოლარი
დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა	70 000 და 57 000
ტერიტორიის ფართობი	72 000 ათასი კვ.კმ

ა. ჰუმანური განვითარების ინდექსზე

ბ. მოსახლეობის სიმჭიდროვეზე

გ. მიგრაციის სალდოზე

დ. გლობალიზაციის ინდექსზე

20. რომელი ქვეყანის პოლიტიკური სისტემის ცვლილებაზე არ უმოქმედია „ცივი ომის“ დასრულებას?

ა. პოლონეთის

ბ. ბულგარეთის


გ. კუბის

დ. უნგრეთის

21. რომელ ფოტოზეა ნაჩვენები ბანიანი სახლები?



22. რომელ დასახლებულ პუნქტშია ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა უფრო მეტი?



ა. გურჯაანში

ბ. ბარისახოში

გ. ქარელში

დ. დუშეთში

გადასვლა [რუკაზე](#)

23. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია მასში შემავალ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვა?

ა. იუნესკოს

ბ. ოპეკის

გ. ევროპის საბჭოს

დ. სოკის

24. ჩამოთვლილთაგან, რომელი სახელმწიფო ხასიათდება მოსახლეობის უფრო „ქრელი“ რელიგიური სტრუქტურით?

ა. ესპანეთი

ბ. რუსეთი

გ. საუდის არაბეთი

დ. სან-მარინო

25. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო ხასიათდება მოსახლეობის ზრდის უფრო მაღალი ტემპით?

ა. ინდონეზია

ბ. საფრანგეთი

გ. სამხრეთ სუდანი

დ. ავსტრალია

26. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები ისლამური სალოცავი?

ა.



ბ.



გ.



დ.



27. რომელ სურათზეა გამოსახული იუდაისტური რელიგიის მიმდევარი?

ა.




ბ.



გ.



დ.



28. ჩამოთვლილთაგან რომელი დასახლებული პუნქტია დაბა?

ა. ლენტეხი

ბ. ცაგერი

გ. ხობი

დ. ხვანჭკარა

29. რომელი მარშრუტი შეესაბამება ჯეიმს კუკის მოგზაურობას?

ა.




ბ.




გ.



დ.



30. რომელი მოგზაურის მარშრუტია ასახული ილუსტრაციაზე?




- ა. ამერიგო ვესპუჩის
- ბ. აბელ ტასმანის
- გ. ფერნანდო მაგელანის
- დ. ქრისტეფორე კოლუმბის

31. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ გაედინება მდინარე ინდი?




- ა. ინდოეთის
- ბ. პაკისტანის
- გ. ბანგლადეშის
- დ. ჩინეთის

32. მსოფლიო მასშტაბით რის განაწილებას ასახავს მოცემული წრეწიროვანი დიაგრამა?



- ა. ოქროს მოპოვების
- ბ. ავტომობილების წარმოების
- გ. ელექტროტექნიკის წარმოების
- დ. ნავთობის მოპოვების

33. რა არის ასახული სქემაზე?




- ა. ატმოსფეროს ცირკულაცია
- ბ. მზის რადიაცია
- გ. ოკეანის მიქცევა-მოქცევა
- დ. დედამიწის გამოსხივება

- რუკის ანალიზი - დავალება # 34-35.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (6) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციებს და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა კითხვებზე

34.1. რომელი შტატი მდებარეობს დაახლოებით იგივე განედზე, რომელზეც კ. სამხრეთი?

34.2. რომელ შტატთან მდებარეობს ყველაზე ახლოს კ. ახალი კალედონია?

34.3. რომელ შტატში მდებარეობს მდინარე მურეის შესართავი?

34.4. რომელი შტატის ტერიტორიის ნაწილია მოცემული B ილუსტრაციაზე?

34.5. რომელ ქალაქს შეესაბამება გეოგრაფიული კოორდინატები: ს.გ.12°28'; ა.გ.130°50'?

34.6. რომელ ქალაქშია გადაღებული A ფოტო?

გადასვლა [რუკაზე](#)

35. (6) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

35.1. ახსენით, სწორად არის თუ არა დატანილი რუკაზე მდ. ჭკუდის დინების მიმართულების მაჩვენებელი ისარი?

35.2. ახსენით, აქვს თუ არა სამრეწველო დანიშნულება სოფ. დეკიანის მიდამოებში მდებარე ქვანახშირის მალაროს?

35.3. გამოთვალეთ, რამდენი მეტრია მდ. გეგას ვარდნა. აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

35.4. რომელი მთა მდებარეობს ზღ. დ. უფრო მაღლა?

ა. იარონი

ბ. ბერა

გ. დოლი

დ. ჟლო

35.5. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. იარონი მ. ბერადან?





ა. 90°


ბ. 180°

გ. 270°


დ. 360°

35.6. რომელი პროფილი შეესაბამება ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილ AB მონაკვეთს?





რელიეფი



ძირითადი პორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში
 ა) ძირითადი პორიზონტალები
 ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორი-
 ზონტალები)
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მანუვრელები (ბერგშტრიხები)
 ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშ-
 ნულები




სიმაღლის ნიშნულები ორიენტრებოთ
 ფლატე (ბეჭი) (3-ხრამის სიდრმე მ-ში)
 ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)
 ორმოები (3-ორმოს სიდრმე მ-ში)
 ხრამებისა და დარტაფების სივანე ა) 3-ზე ნაკლები;
 ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სივანე
 ზედაპირთან, 2 სიდრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოისახება
 რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიდრმე)




მცენარეული საფარი და ბრუნტი
 მცენარეული საფარისა და გრუნტის სახეებები და
 კონტურები
 წიწვოვანი ტყე
 ფართოფოთლოვანი ტყე
 შერეული ტყე



ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო
 სიმაღლე; 0,30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-ხეებს
 შორის საშუალო მანძილი
 ბუჩქნარის ვიწრო ზოლები
 ცალკეული ფოთლოვანი კორომები



ორიენტრის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი
 ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი
 ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენ-
 ტირის მნიშვნელობა
 ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე




ტყეში არსებული განეხილი გზების სივანე
 (4-განეხილი გზის სივანე მ-ში)
 ა) მერხური ტყე
 ბ) განეხილი ტყის ნაკვეთები
 ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების და-
 ჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი (2-ბუჩქნარის საშუალო
 სიმაღლე მ-ში)
 ა) მდგომი 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის
 ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები




ა) სახნავი მიწები
 ბ) ბოსტნები
 ხის ღობეები, მესერი, ღობეწნულები

საბუნარი ძხალო




ორლიანდაგიანი რკინიგზა
 ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა
 ჯიხურები, ყაზარები, გზის ქვეშ არსებული მიწები
 ჩაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები
 (2-ჩაღრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)
 გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის
 სივანე, 17-მთელი გზის სივანე სანაღებრეუბის შორის მ-ში.
 ა-საფარის სახეობა), კილომეტრების ნიშნები. კილომე-
 ტრების წარწერები.




გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გზის ნაწილის სივანე (4-საჯალი
 ნაწილის სივანე მ-ში)
 გზის ნაწილი
 მინდვისა და ტყის გზები
 გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული
 ნარგავები




სიღების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-საჯალი
 ნაწილის სივანე მ-ში, 5-ტვირთამწვეობა ტ-ში
 სიღები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები;
 2) 3-დან 13 მ-მდე
 3 მ-მდე სივანის მშრალი არხები
 დამები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)
 ჭები (169.1 - ჭის მოწისპირა ნიშნული, 3-5 - ჭის სიღრმე
 წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)
 წყაროები



დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები
 სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებების
 კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში
 ნაგებობებით
 კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის
 ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში




სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში
 სახლების რაოდენობა
 20-დან 100-მდე
 (45 - სახლების რაოდენობა)
 20-ზე ნაკლები



ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები
 მსუბუქი კონსტრუქციის ანძები
 ეკლესიები
 ბობებზე დამაგრებული გადახურვები
 ქარხნები
 ღია ტიპის კარიერები: თიხა- მოპოვებული
 მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში
 მოქმედი მდაროები
 კავშირგაბმულობის საპაერო ხაზები (სატელეფონო,
 სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)



ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები



კილომეტრები
 შრობადი ნაკადები
 სანაოსნო მდინარეები
 ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი,
 ავტორანსპორტისთვის გაუვალი
 მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ
 მეტი სივანის გამოისახება რუკის მასშტაბში
 წყლის კიდის ნიშნულები
 ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას
 (0,4-დინების სიჩქარე მ/წმ)
 მდინარეების მახასიათებლები: 10-სივანე; 1,2 - სიდრმე
 მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი
 ფონები და მათი მახასიათებლები: 0,5 - სიდრმე მ-ში,
 10 - ფონის სიგრძე, 0,4 - დინების სიჩქარე მ/წმ
 სიღები ლითონის ერთობლიანი
 სიღები ხის ერთობლიანი

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები		
ა	ასფალტი	აგ.
ჟ	ჯიხური	აგურის
რქ	რკინის ქვა	ქ
არე	არეის ხე	ტბორ
ფიჭ	ფიჭვის ხე	პრ.
ნად	ნადის ხე	პროექტორის ანბა
წსნ	წყლისაქანი	წ
თის	თიხა	სს
სჭ	საორიენტაციო ჭა	სს
ყაზ	ყაზარმა	მე
ღ.	ღამი	კრამ.
		სკ.
		ქე
		მაღ. ნახ.



- ინფორმაციის ანალიზი - დავალება # 36-37.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

36. (5) გაანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

2016 წელი რეზონანსული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებით იყო გამორჩეული. ზოგიერთი მათგანი უპრეცედენტოა, ხოლო ზოგიერთი იშვიათად თუ მეორდება. ქვემოთ საუბარია ორ მოვლენაზე:

(A) სახელმწიფოში, რომელიც ოთხი მთავარი ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება, ჩატარდა რეფერენდუმი. მისმა შედეგმა მნიშვნელოვნად „შეარყია“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება. მოსახლეობის უმრავლესობამ რეფერენდუმის მთავარ შეკითხვას ორ ადმინისტრაციულ ერთეულში დადებითად უპასუხა, ხოლო ორში - უარყოფითად.

(B) სახელმწიფოში, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი აქვს, ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთმა კანდიდატმა მთლიანი ელექტორატის ხმების მეტი რაოდენობა მიიღო, არჩევნებში მისმა მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა. ასეთი შემთხვევა ქვეყნის ისტორიაში მეოთხედ დაფიქსირდა.

[გადასვლა კითხვებზე](#)

(A) მოვლენასთან დაკავშირებული კითხვები:

36.1. (1) რომელ სახელმწიფოში ჩატარდა ტექსტში აღნიშნული რეფერენდუმი?

36.2. (1) რა შინაარსის კითხვა იყო დასმული რეფერენდუმზე და რომელმა ორმა მთავარმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა დაუჭირა მხარი სტატუს ქვოს¹ შენარჩუნებას?

36.3. (1) რა შედეგი დაფიქსირდა რეფერენდუმზე?

(B) მოვლენასთან დაკავშირებული კითხვები:

36.4. (1) რომელი სახელმწიფოს საპრეზიდენტო არჩევნებზეა საუბარი ტექსტში?

36.5. (1) რით ახსნით იმ ფაქტს, რომ მთლიანი ელექტორატის ხმების უმრავლესობის მოპოვების მიუხედავად, კანდიდატი მაინც დამარცხდა?

გადასვლა [ტექსტზე](#)

¹ არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.

37. (9) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის მხარე მდებარეობს სამხრეთ საქართველოში. იგი მოიცავს სამცხის, ჯავახეთისა და თორის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს. სამცხეში შედის ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის, ჯავახეთში კი - ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები. მხარის ფართობი 6413 კვ.კმ-ია, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 25 კაცს შეადგენს. მოსახლეობის 50,5% ერთი ეთნიკური წარმომავლობისაა. ქართველები მოსახლეობის 48,3% შეადგენენ. მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის, 5 ქალაქი: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა და 7 დაბა, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ახალციხეა.

მხარე გამოირჩევა შიდა წყლებისა და ტბების სიუხვით. მდინარეებიდან აღსანიშნავია: მტკვარი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ფარავანი და სხვ.; ტბებიდან: ფარავანი, ტაბაწყური, სადამო და სხვ. მდიდარია ნოყიერი და უხვმოსავლიანი ნიადაგით, ფლორითა და ფაუნით; ასევე ბალნეოლოგიური კურორტებით.


სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი სამცხე-ჯავახეთში - 396 399 ჰა-ია, მათ შორის: სახნავი - 77 721 ჰა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავი - 3 009 ჰა.

სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია აგრარულ სექტორს, რომლის წილიც მთლიანი შიდა პროდუქტის 49 %-ია და დასაქმებულია შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი.

მხარეში საავტომობილო გზების საერთო სიგრძეა 1 340 კმ. აქედან, საერთაშორისო მნიშვნელობისაა 195 კმ. 2007 წელს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო, რომელიც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანი იქნება.

გადასვლა დიაგრამაზე; კითხვებზე

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა
მუნიციპალიტეტების მიხედვით



გადასვლა ტექსტზე: კითხვებზე

37.1. სამცხე-ჯავახეთისთვის რა მონაცემია გამოთვლილი - $6413 \cdot 100 / 69700 = 9,2\%$?

ა. სახნავი მიწების ფართობის წილი მხარის მთლიან ფართობში

ბ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში

გ. მხარის ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში

დ. მრავალწლიანი ნარგავების ფართობის წილი მხარის მთლიან ფართობში

37.2. რომელი არ არის სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დარგი?

ა. მეკარტოფილეობა; ბ. მებოსტნეობა; გ. მეციტრუსეობა; დ. მეხილეობა

37.3. სამცხე-ჯავახეთის მხარის რომელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიას მოიცავს თორის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია?

37.4. რომელი სახელმწიფოების სარკინიგზო ხაზებს აერთიანებს ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი?

37.5. რა ეროვნებისაა მხარის მოსახლეობის ნახევარზე მეტი?

37.6. მრეწველობის რომელი კონკრეტული დარგია განვითარებული დაბა ბაკურიანის ანდეზიტში?

37.7. გამოიანგარიშეთ რამდენი იყო 2014 წელს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა. აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

37.8. 2002 და 2014 წლების მონაცემთა შედარებით, პროცენტულად რომელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა ყველაზე მეტად?

37.9. რა ორი მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს დაბა აბასთუმანს?

[გადასვლა ტექსტზე; დიაგრამაზე](#)